




13.06.2014

## სასამართლომ საყდრისისთვის სტატუსის მოხსნის გადაწყვეტილება ბათილად ცნო

შეუერთდი განხილვას



საქალაქო სასამართლომ ბათილად ცნო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილება საყდრისი-ყაჩაღიანისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის გაუქმების შესახებ. მინისტრის შესაბამის ბრძანებას სასამართლოში "მწვანე ალტერნატივა" ასაჩივრებდა.

"სასამართლომ დააკმაყოფილა ჩვენი სარჩელი, ბათილად ცნო მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის ბრძანება და განსახილველად უკან დაუბრუნა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. სარჩელი გულისხმობდა იმ ბრძანების გაუქმებას, რომლითაც ძეგლს მოეხსნა სტატუსი. სასამართლომ მიიჩნია, რომ სამინისტრომ სათანადოდ არ გამოიკვლია საკითხი ამ აქტის გამოცემისას. გადაწყვეტილება იმის შესახებ, რამდენად ჰქონდა ამ ძეგლს კულტურული მემკვიდრეობის ღირებულება, უნდა მიეღო შესაბამის საბჭოს, როგორც ამას კანონი ითხოვდა და რადგან ეს არ მომხდარა, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სამინისტრომ არასათანადოდ გამოიკვლია საკითხი და ისე მიიღო გადაწყვეტილება. ჯერჯერობით ვადები და სხვა დეტალები ცნობილი არ არის, მაგრამ სამინისტრომ კიდევ ერთხელ უნდა იმსჯელოს ამ საკითხზე", - ამბობს ნინო გუჯარაძე, "მწვანე ალტერნატივას" აღმასრულებელი დირექტორი.